

## ნოდარ არდოტელი

არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი (საქართველო), ფილოლოგიის  
მეცნიერებათა დოქტორი

ელფოსტა: [nodariardoteli@yahoo.com](mailto:nodariardoteli@yahoo.com)

## ოიკონიმთა წარმოება დიდოურ ენაში

სტატიის ტიპი: გამოკვლევა

**ანოტაცია:** სტატიაში წარმოდგენილია ოიკონიმთა წარმოების კანონზომიერებანი და თავისებურებანი დიდოურ ენაში. გარკვეულია, რომ ისტორიულად დიდოებით დასახლებულ ტერიტორიას ჰქონდათ გავრცელების გარკვეული არეალი, რომელში მოქცეულ დასახლებულ პუნქტებს მოეპოვებოდა როგორც საკუთრივ დიდოური სახელები, ისე ხუნძური სახელწოდებანიც. შემჩნეულია რამდენიმე ქართული წარმომავლობის ოიკონიმიც. ამასთანავე, წერილში მოცემულია არაერთი ოიკონიმის ისტორიული ინტერპრეტაცია და გენეზისის დადგენის ცდა, რაც ცხადყოფილია სათანადო მაგალითებით.